



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი


წევრები:


ელენე კაკაბაძე

ანა დავრიშაშვილი

ლელა მაისურაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 239402927

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 21 ივნისის №726693 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.



ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის მიხედვით 2024 წლის 1 და 2 ივლისს განხორციელდა ვიზიტი დაწესებულებაში (მის: ქ. საჩხერე, თამარ მეფის №11). ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს, როგორც პროფესიული მოდულების ასევე ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებს. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს ძირითადი მიგნებები.

აღსანიშნავია, რომ სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, 9 წლის ვადით, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფს მოგვეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად.


ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც მასწავლებლების მომზადებაში ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1) დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერი ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
4) ადამიანური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:








4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი


პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ბალის დიზაინი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
გრაფიკული დიზაინი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება;


2.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსით აღჭურვა და პერსონალის განვითარება არაუგვიანეს 2024 წლის 17 დეკემბრისა (მეტწილი შესაბამისობა)


4.1 სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულებამ გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, არაუგვიანეს 2025 წლის 17 დეკემბრისა (ნაწილობრივი შესაბამისობა)

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1.1.1.1 დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს


სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის მისიაა აღზარდონ ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების მქონე გლობალური მოქალაქე, რომელიც ზოგადი და პროფესიული პროგრამების დაუფლებით იქნება შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მსოფლიო სივრცეში რეალიზებული. სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. უფრო კონკრეტულად, პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და სხვა მისცემს ახალგაზრდებს საშუალებას უპასუხონ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. შრომის ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების მომზადებით იგი ხელს უწყობს ქვეყნის პოლიტიკის ისეთ მიზანს, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და პროფესიული სტუდენტის უწყვეტი პროფესიული განათლების მიღება.

1.1.1.2 მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის მისია არის ლაკონური, გასაგები და მამოტივირებელი. მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მრავალფეროვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მისიიდან, ჩანს დაწესებულების როლი, რომ სკოლა იძლევა საშუალებას ახალგაზრდამ მიიღოს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი იყოს მეტად კონკურენტუნარიანი, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით დაუპირისპირდეს თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





1.1.1.3 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

სკოლის მისიიდან გამომდინარეობს მისი ხედვა და ღირებულებებიც, რომელიც თავსებადია დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს. სკოლის ხედვაა: ფორმალური, არაფორმალური და პროფესიული განათლების ინტეგრირებით, 2030 წლისთვის ჩვენი სკოლა აღიარებული იქნება საგანმანათლებლო სივრცესა და შრომის ბაზარზე, როგორც 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი პროფესიების დაუფლებით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების აღმზრდელი.

1.1.1.4 მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ცვლილების დოკუმენტი, რომელიც გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილი იყო პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ორგანოებში შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლე, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ. მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ გვერდზე და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე, რითაც უზრუნველყოფილია მოთხოვნა, რომ ისინი და საჯაროდაა ხელმისაწვდომი


დასტურდება (მტკიცებულებები):


- სკოლის მისია, ხედვა , ღირებულებები;
- სკოლის ვებგვერდი;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.1.1.1 დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ზსდ-ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-44 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიული სტუდენტის უფლებებს, წახალისებას, ვალდებულებებს და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. კერძოდ, სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოიმუშაოს საჭირო უნარები, თანაბარ პირობებში ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, აირჩიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სწავლა გააგრძელოს სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ითხოვოს გათავისუფლება ლექციებიდან, თუ ამისთვის გააჩნია დასაბუთებული მიზეზი (ექიმის ცნობა, განცხადება) ან არის შეუძლოდ, საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისას მოითხოვოს შესაბამისი სპეციალობის შესაბამისი საფეხურის პროფესიული დიპლომი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება ასევე ითვალისწინებს ზსდ-ში ჩარიცხვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, აღდგენას, შეწყვეტას, მობილობას (გარე, შიდა), უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების, ფორმალური განათლების აღიარების წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3.1.1.2 პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

ზსდ-ს დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომელშიც გაწერილია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან განხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები გაწერილია პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება, რომ ისინი იცნობენ მათ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

3.1.1.3 პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

ზსდ-ს დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის მე-6 თავი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას. დებულების 47.19 პუნქტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგებზე, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები ეცნობება შეფასების განხორციელებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. შეფასების შედეგები ეცნობებათ იმავე დღეს, თუ შეფასების მიმართულება არის გამოკითხვა ზეპირი ფორმით ან შეფასების პროცესზე დაკვირვება. პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობა შეფასების შედეგებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში ან/და მოდულის განმახორციელებელ პირთან ან შეფასების შედეგები ეგზავნება ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის საშუალებით. 47.20 პუნქტი კი ითვალისწინებს სწავლის შედეგების შეფასების აპელაციის პროცედურას. კერძოდ, თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება ან/და შეფასების პროცესის მიმდინარეობა არასამართლიანად ჩათვალა, მან შეფასების შედეგების გაცნობიდან ან/და შეფასების განხორციელებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა მიმართოს დირექტორს და მოითხოვოს სწავლის შედეგების დადასტურების ხელმეორედ ჩატარება ან შეფასების გადასინჯვა. პროფესიული მასწავლებლის უფლება მოვალეობებშიც გაწერილია, რომ იგი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს კონსულტირება, მათ შორის შეფასების სისტემაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებითი ჩატარება.

3.1.1.4 დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.



ზსდ -ს და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშში გათვალისწინებულია: ხელშეკრულების საგანი, პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, ზსდ-ს უფლება მოვალეობები, მხარეთა პასუხისმგებლობა, პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა, პროფესიული სტუდენტის დაფინანსება, სხვა პირობები, ხელშეკრულების ძალაში შესვლის და მოქმედების ვადა. ხელშეკრულების ნიმუშში არასრულწლოვნის შემთხვევაში ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერას.

3.1.1.5 დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზსდ-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მე-9 თავში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, შემუშავება და დამტკიცება. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





სასწავლო გეგმის პროექტის განხილვას და შეთანხმებას პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან.


დასტურდება (მტკიცებულებები):


- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (დირექტორის ბრძ.№ 2-44, 14.06.2024);
- პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.1.1 დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;


სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-43 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.


მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.

დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა. სკოლის წარმომადგენლის ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ იგეგმება ხარისხის, სასწავლო პროცესის მართვის და კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული მხარდაჭერის სპეციალისტის შტატით დასაქმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4.1.1.2 დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-43 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად დაწესებულებას, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N2-58 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

4.1.1.3 დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.


სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-43 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.


სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-44 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები დაკისრებული აქვს სკოლის თანამშრომელს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი ;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


4.1.2.1 დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად


დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-44 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე.

4.1.2.2 დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-44 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდის ფართო სპექტრი გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით. დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





4.1.2.3 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-44 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.1.2.4 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-44 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გამლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება. დაწესებულების სტრუქტურა, ასევე, ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით.


დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი“
- „პერსონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა“
- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება N 2- 43 ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	საჩხერე თამარ მეფის ქ.#11
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
 ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:






2. საგანმანათლებლო პროგრამები


2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;


სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის „ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ № 2-43 ბრძანების თანახმად დაწესებულება პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ დამატებას ახორციელებს პროგრამის ინიცირებისა და მიზანშეწონილობის დადგენით, ასევე შეესაბამება მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინტეგრირებული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიხედვით, დაწესებულება დაეყრდნო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, ასევე დასაქმების სააგენტოების (www.hr.gov.ge; www.jobs.ge; www.cv24.ge; www.ipove.ge) ვებგვერდებზე განთავსებული ვაკანსიების მონაცემებს, რომელთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ გრაფიკული დიზაინერის პროფესია ერთ-ერთი მზარდად მოთხოვნი პროფესიაა საქართველოს შრომის ბაზარზე. გრაფიკული დიზაინერის პროფესია იძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობას, მათ შორის საერთაშორისო ბაზარზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტის მიხედვით, ინტეგრირებული პროგრამის დამატების ერთი-ერთი არგუმენტია - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრირებით საბაზო განათლების მქონე ახალგაზრდების კარიერული წინსვლის შესაძლებლობა და პროფესიის დაუფლებასთან ერთად სრული ზოგადი განათლების ატესტატის მიღების შესაძლებლობა.

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინი“ არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული პროგრამის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საშუალო საფეხურის 10 კლასის განათლება. დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის განხორციელების ვადა ორი წელია. პროგრამაზე მიღება გამოცხადდება შიდა გასაუბრების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.1.1.3 დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა შემუშავებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-44 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, ადამიანური და მატერიალური რესურსის რაოდენობას და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. აღნიშნული წესის მიხედვით, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხდება A, B და C სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის და მოდულების განმახორციელებელი პირების რაოდენობების მიხედვით.


დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილია ორი აუდიტორია. ერთი აუდიტორია (კომპიუტერების ოთახი) გამოიყენება როგორც B გარემო, ასევე, „მეწარმეობისა“ და „უცხო ენის“ მოდულებისთვისაც იქნება შესაბამისი ლაბორატორია (A გარემო). მეორე უფრო მოზრდილი აუდიტორია გამოიყენება C გარემოსთვის, სადაც განთავსდება ფაბლაბი. ორივე აუდიტორია განკუთვნილია მხოლოდ „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის.


აუდიტორიები იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამაზე სტუდენტების კვოტა ჯამში განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. გრაფიკული დიზაინის პროგრამისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აღნიშნული აუდიტორიები სრულად უზრუნველყოფს მოთხოვნილი რაოდენობის მქონე პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობას.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც პროფესიული მოდულებისათვის, ასევე ინტეგრირებული მოდულებისთვის. დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო რესურსები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ მოდულებში და ინტეგრირებული პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ პედაგოგებთან გასაუბრებისას მიეცათ რჩევა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (დარგის განვითარების მზარდი ტენდენცია და საგანმანათლებლო სფეროში უახლესი სასწავლო რესურსების გაჩენა) პერიოდულად განაახლონ სასწავლო ელექტრონული რესურსები (ლინკები), შექმნან საკუთარი ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსების ბანკი, მოახდინონ უცხოენოვანი სასწავლო რესურსების თარგმნა.

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს;

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;


პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება № 2- 43 ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ ბრძანებით.


2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; პროგრამის სახელწოდება - „გრაფიკული დიზაინი“ არ შეცვლილა და იგივეა რაც პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში. პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „გრაფიკული დიზაინი“ (სარეგისტრაციო ნომერი 02.1.1) პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის „ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ №2-43 ბრძანება;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება №2- 44 ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი


2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ შედეგები მიიღწევა დაწესებულების A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით. თუმცა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი **ჯერ არ არის შესყიდული**. შესაბამისად დაწესებულებას, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის ვადა, რესურსებით უზრუნველყოფა და ამაზე დაფუძნებით სკოლა უზრუნველყოფს მიმდინარე წლის 17 დეკემბრამდე სათანადო აღჭურვას.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას



გრაფიკული დიზაინის ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია ინტეგრირებული მოდულების 6 მასწავლებელთან. პროფესიული მოდულების ფარგლებში ჩართულია 3 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში ჯამში წარმოდგენილია 9 პროფესიული მასწავლებელი. თუმცა, დაწესებულება გეგმავს დარგობრივი მოდულების მოძიების პროცესის გაგრძელებას, რაც ასახულია შესაბამისობის გეგმაში.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით, სადაც წარმოდგენილი იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი, ტრენინგების გავლის, სამუშაო გამოცდილების და სხვ. დოკუმენტები და პედაგოგებთან შერჩევითი პრინციპით ჩატარებული გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მოდულების განხორციელებისთვის და პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭიროებენ კონპენტციების ამაღლებას. აგრეთვე ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა იზიარებს ახალი სკოლის მოდელს და მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს კომპლექსურ დავალებებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას. შესაბამისად, მათთვის, როგორც სკოლის შიდა რესურსით, ისე გარე რესურსებით (ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით) დაგეგმილია ტრენინგები, რითაც დაეუფლებიან შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას, დირექტორის № 2-45 17 ივნისი 2024 წლის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

2.2.1.4 პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით

